საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება **2008/877/CFSP,**
ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ
ევროპის კავშირის საბჭო,
ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, და განსაკუთრებით მის 24-ე მუხლს,
ითვალისწინებს თავმჯდომარის რეკომენდაციას,
ვინაიდან:
(1) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ;
(2) საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ ხელშეკრულება შეთანხმდა ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის;
(3) ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს ევროპის კავშირის სახელით,
ღებულობს შემდეგ დადგენილებას:
მუხლი 1
ამით მტკიცდება ხელშეკრულება ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის, საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ.
ხელშეკრულების ტექსტი ამ დადგენილებას თან ერთვის.
მუხლი 2
საბჭოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაასახელოს პირი (პირები), რომელიც აღჭურვილი იქნება ევროპის კავშირის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას (2).
მუხლი 3
ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
მუხლი 4
ეს დადგენილება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.
მიღებულია ლუქსემბურგში, 2008 წლის 24 ოქტომბერს.
საბჭოს სახელით,
თავმჯდომარე მ. ალიოტ-მარი
(http://eur-lex.europa.eu//საკუთარი თარგმანი)